შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ვზი"

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში (ნაკვ. №02/108, საკად. კოდი №01.19.16.002.108) არსებული სამრეწველო შენობის რეკონსტრუქციის განხორციელების შესახებ

გამოსაკვლევი უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით:

- საანგარიშო სეისმურობაა – 8 ბალი;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 100 კგ/მ²;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ².

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია ტერიტორიაზე განთავსებული სამრეწველო ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური გაანგარიშება.

ობიექტის შესწავლისა და კვლევის პროცესში გამოყენებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ 1992 წელს გამოცემული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია".

მათი მოთხოვნების მიხედვით ჩამოყალიბდა სამუშაოს შემდეგი მეთოდიკა და ამოცანები:

1) არსებული შენობის ვიზუალური დათვალიერება და მისი ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მდგრადობაზე;
2) დასკვნები და რეკომენდაციები არსებული სამრეწველო შენობის რეკონსტრუქციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

1. არსებული შენობის ვიზუალური დათვალიერება და მისი ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მდგრადობაზე

სამრეწველო შენობა განთავსებულია ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში (ნაკვ. №02.108; საკად. კოდი 01.19.16.002.108).

ვიზუალური დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ სარეკონსტრუქციო ნაგებობა წარმოადგენს რკინა-ბეტონის, 18 მეტრიანი ფერმებით ორ რიგად დახურულ კარკასულ შენობას, საერთო გაბარიტული ზომებით 36,0X30,0 მ-ზე.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების კვლევის თანახმად, საკვლევი მოედანი წარმოადგენს სამხრეთი მიმართულებით მცირედ დახრილ ფერდობს. უბანზე, რაიმე საშიშ გეოლოგიური პროცესების განვითარება, რაც საფრთხეს შეუქმნის არსებული და ასაშენებელი შენობების მდგრადობას მშენებლობის ან ექსპლუატაციის პერიოდში, არაა მოსალოდნელი.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია თაბაშირნარევი თიხოვანი გრუნტები, რომლის საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე ტოლია 2,30 კგძ/სმ^2.

შენობის ფუძეს წარმოადგენს რკინა-ბეტონის ანაკრები წერტილოვანი საძირკვლები, რომლებიც ერთმანეთთან, შენობის პერიმეტრზე და შუა „5“ ღერძზე, დაკავშირებულია რკინა-ბეტონის რანდკოჭებით.

შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს რკინაბეტონის ანაკრები სვეტები განივი კვეთით 40X40 სმ და რკინა-ბეტონის 18 მ-იანი ფერმები, რომლებიც დახურულია რკინა-ბეტონის ანაკრები წიბოვანი ფილებით.

წიბოვანი ფილები გამოყენებულია ასევე შენობის შიგნით, ანტრესოლის ტიპის გადახურვებზე.

გარეთა კედლები წარმოადგენს რკინა-ბეტონის ანაკრებ პანელებს, სისქით 20 სმ, რომლებიც შეკიდულია ფახვერკის ტიპის ანაკრებ სვეტებზე.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ შენობის მზიდ ელემენტებზე არანაირი დაზიანება არ შეიმჩნევა.

2. დასკვნები და რეკომენდაციები არსებული სამრეწველო შენობის რეკონსტრუქციის განხორციელებასთან დაკავშირებით

ექსპერტიზაზე შემოსული იყო ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში (ნაკვ. №02.108; საკად. კოდი 01.19.16.002.108) არსებული სამრეწველო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი და არსებული ტერიტორიისა და სამრეწველო შენობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური გაანგარიშება.

ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული შენობის რეკონსტრუქციისათვის ხელისშემშლელი პირობები არ არსებობს.

ექსპერტის აზრით გასათვალისწინებელია ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები:

1) მიზანშეწონილად მიგვაჩნია შენობის შიგნით სილიკატური აგურის წყობის გამაგრება არმატურის ბადეებისა და ქვიშა-ცემენტის ხსნარის ლესვით.

2) შედუღების სამუშაოები დეტალური დათვალიერების შედეგად მოხდეს დაზიანებული შედუღებების აღდგენა.

ამდენად ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში (ნაკვ. №02.108; საკად. კოდი 01.19.16.002.108) არსებული სამრეწველო შენობის რეკონსტრუქციას ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.

შპს „ვ.ზ.ი.“-ს დირექტორი ვ. ციტაიშვილი

ექსპერტი –
ინჟინერ-კონსტრუქტორი ვ. ციტაიშვილი

08.12.2014წ.